

მართალია ერეკლე მეფე არ იყო ისეთივე მოქნილი პოლიტიკოსი, როგორც თუნდაც მამამისი თეიმურაზ მე-2 რომელმაც ქართლ-კახეთის სამეფოები გააერთიანა და ამით კავკასიაში ყველასთვის ანგარიშ გასაწევ ძალად იქცა, მაგრამ ერეკლე მე-2-ს გატარებულმა რეფორმებმა დიდი წვლილი შეიტანა ძალაუფლების ცენტრალიზაციაში, მაგრამ ფართო გეგმების განსახორციელებლად მეფეს სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირე, რომელსაც შეეძლო ირანულ-თურქული შემოსევებისგან საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ერეკლე მეფის მიზანი იყო ერთ სახელმწიფოში ყველა ქართული ფეოდალური სამთავროების გაერთიანება, მათ ირანულ-თურქული წესით განთავისუფლება და ამიერკავკასიაში საქართველოს პოზიციის განმტკიცება. ერეკლე მეფე იყო ერთადერთი იმედი მთელ საქრისტიანოში, რომელიც თავგანწირვით იბრძოდა. 1783 წელს ერეკლე წყვეტს ქართლის ბედს, უკავშირდება ჩრდილოელ ქრისტიან მეზობელს - რუსეთს. მაგრამ ერეკლეს რუსეთის იმპერატორმა უღალატა და პირისპირ მიატოვა 1795 წელს ალა-მაჰმად ხანთან კრწანისის ბრძოლაში, იმ მოტივით რომ ერეკლე ეწოდა დამოუკიდებელ პოლიტიკას და ამით მოხდა რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობის გაუარესება, რაც არ შედიოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებში. ერეკლემ გიორგევსკის ტრაქტატის დადებამდე სცადა იმერეთის შემოერთება, მაგრამ მაშინ სოლომონმა რუსეთი ჩარია საქმეში და შესძლო ერეკლეს შეჩერება. დიდო მეფეო, არ ვიცი ამ გადაწყვეტილების გამო უნდა მძულდე თუ მიყვარდე.

საუკუნეების მერე საკუთარი მიწა-წყლიდან გამოგვყარა ამ მოყვარემ და როცა გავბედე და მაინც შინ დავბრუნდით, უცხო ენაზე სწავლას და ფალსიფიცირებულ ისტორიას გვახვევს თავზე.

სოხუმის დაცემის დღეზე ისე ამბობენ და ვხვდები რომ ეს გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ერთი ქალაქის დატოვება, ეს მთელი აფხაზეთის ჩაბარებაა. არ ვიცი, რატომ გავბედე ამ წერილის დაწერა, რატომ გავბედე მეფიქრა საქართველოს უკანასკნელ სახელოვან მეფეზე... მე მხოლოდ 15 წლის ვარ და არ ვიცი რა ხდებოდა 27 წლის წინ სოხუმში, არც ის, თუ რა ჯოჯოხეთს გაუძლო კრწანისის ველზე თავის უკანასკნელ ბრძოლაში ერეკლე მეფემ. მაგრამ არის უამრავი მასალა, ვკითხულობ, ვეცნობი, ვუყურებ კადრებს და ვფიქრობ... გული მტკივა. როგორც ამბობენ, აფხაზეთშიც უკვე მოგებული პოზიციების დათმობა უხდებოდათ ქართველებს. აქ ბრძანებებს მხოლოდ ღალატის დემონსტრირება თუ შეეძლო. გმირობისა და ამავე დროს გაუტანლობის, ვერაგობის მაგალითები... რატომ ხდება ასე? ბედისწერა, უფუნურება თუ უმწეობა, რა არის ის, რაც იწვევს ისტორიაში სავალალო გამეორებებს, დამთხვევებს.

ერეკლე დაახლოებით ჩემი ასაკის იყო, ქვეყნის მართვა რომ ანდეს. პატარა კახი - ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი, საქართველოს დიდების მიმქრალი შარავანდედის აღდგენაზე მეოცნებე და მებრძოლი. ხმლის ქარქაშში ჩაგება ველარ მოახერხა ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, 78 წლის ასაკში აღესრულა და 40 დღე ესვენა თელავის სასახლეში. აღარ ეღირსა ქრისტიანულად, დროულად დასაფლავება, შავი ჭირის ეპიდემიის გამო ველარ დაიტირა საქართველომ თავისი მეფე. მხოლოდ მოგვიანებით მიაბარეს მცხეთის წმინდა მიწას.

მაგარამ მანამდე იყო კრწანისი... ალა-მაჰმად-ხანის მიერ აოხრებული თბილისი, დაუმარხავი გმირები... მოგებულ ომში იწვინა დამარცხების სიმწარე მხცოვანმა მეფემ. ღალატმა არ დაინდო არც მეფე და არც ქვეყნის მომავალი. ერეკლე მეფე ეძიებდა განვითარების ევროპულ გზას, ქონდა მიმოწერა ევროპელ მონარქებთან, ის ეძებდა ოსმალეთისა და ირანის გავლენიდან ქვეყნის დახსნის გზებს, მაგრამ ვერ შეძლო... აღარ გამოჩნდა დასაყრდენი არსაიდან...

როგორ გაიტანოს თავი ჩემმა თაობამ, ან ჩემზე უმცროსებმა, ან იმათ, ვინც აფხაზეთში ქართველად დაიბადება. აქ ამჟამად არ ისვრიან, არ ფეთქდება ბომბები, არ ჩანან უპატრონო ცხედრები, მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წლებს უსიხარულოდ, შთამომავლობას დაშორებულნი და დანატრებულნი ამთავრებენ ხანდაზმულები. ჩვენ ყოველდღე გვკლავენ, რადგან მშობლიურ ენაზე საუბარი გვეკრძალება, ყოველდღე ცდილობენ ჩვენს გადაგვარებას, რადგან თურმე ქართველებმა ისტორია აფხაზებს მოვპარეთ, რომ ქართველები აგრესორები და ფაშისტები არიან.

დიდო მეფეო, იუბილეს გილოცავ ძალიან მემამყები და გული მეკუმშება, რომ შენი ოცნება ისევ ოცნებად რჩება. ველარ გამთლიანდა და გაერთიანდა შენი საქართველო! გზა კი დაგვისახე, მაგრამ აღარ გვიშვებს შენგან თავსმოხვეული მოყვარე! აღარ გვანებებს გაძლიერებას, დამოუკიდებლობას, თავისუფლების წყურვილს! ჩვენ ამ ცხოვრებაში ვჩნდებით და ვქრებით, ფრთებივით მყიფეები და ვარსკვლავებივით ნათელი და გულისცემავით მარადიული და მაშინაც კი, როდესაც გული დაწყნარდება, ჩვენ არ ვქრებით, არამედ მოგონებებად ვიქცევით!

ლიზი ჯგერენაია 15 წლის აფხაზეთიდან ქ.გალის 2 საშუალო სკოლა